სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 128

2014 წლის 08 დეკემბერი

ქ. თბილისი

აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (GRDF-Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის" ფარგლებში ორგანიზებული „კვლევითი გრანტების პროგრამის" 2014 წლის კონკურსის, შედეგად დაფინანდებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალისა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების ვადების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" საფუძველზე

ვბრძანებ:

1. აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (GRDF-Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის" ფარგლებში ორგანიზებული „კვლევითი გრანტების პროგრამის" 2014 წლის კონკურსის შედეგად დაფინანდებულმა პროექტების წარმდგენებმა საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) 2014 წლის 9 დეკემბრიდან 10 დეკემბრის 18:00 სთ ჩათვლით უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის და ძირითადი პერსონალის პირადობის მოწმობის ასლები;

ბ) საბაზო ორგანიზაციის მიერ პროექტისათვის გახსნილი საბანკო ანგარიშის ნომერი (გაცემული ბანკის მიერ).

გ) წერილობითი ცნობა იმის შესახებ, რომ საბაზო ორგანიზაციას არა აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება, არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში. ასევე ცნობა ბანკიდან მის არსებულ ანგარიშებზე საინკასაციო დავალებების არარსებობის შესახებ.

2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმების ვადა განისაზღვროს 2014 წლის 11 და 12 დეკემბერი.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (თ. ბოკუჩავას) წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.

4. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი